კროკობეთის ზოგადი წესები და პირობები

1. ყველა მომხმარებელი ("კროკობეთი"–ის გათამაშების მონაწილე) ვალდებულია "კროკობეთის" (,,ორგანიზატორი") ვებ გვერდზე რეგისტრაციის გავლის და ფსონის დადების წინ გაეცნოს წინამდებარე წესებს.

2. ყველა მომხმარებელი ("კროკობეთი"–ის გათამაშების მონაწილე) რეგისტრაციით ეთანხმება, რომ მისი პირადი ინფორმაცია შემოწმდეს და დამუშავდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პერსონალური მონაცემების დამუშავებული და გამოყენებული იქნება შემდეგი მიზნებისთვის: ფინანსური მონიტორინგის ღონისძიებები, მომხმარებლისთვის სიახლეების მიწოდება, მომხმარებლისთვის შეტყობინებების მიწოდება, პირდაპირი მარკეტინგი.

3. ყველა მომხმარებელი რეგისტრაციით ადასტურებს, რომ უკვე შეუსრულდა 18 წელი.

4. მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის გავლა და ფსონის დადება ნიშნავს თანხმობას „ორგანიზატორი"–ს მიერ დადგენილი გათამაშების წესების მიმართ და ვალდებულებას გათამაშების წესების სრულად დაცვაზე და ასევე, "ორგანიზატორის" უფლებების სრულად აღიარებას.

5. გათამაშების წესების არ ცოდნა არ წარმოადგენს ფსონის ან ხელშეკრულების მოშლის მიზეზს და წინამდებარე წესების თანახმად, მომხმარებელს არ ათავისუფლებს ვალდებულებებისაგან.

6. აკრძალულია 18 წლამდე პირისთვის ონლაინ სამორინესა და ტოტალიზატორში თამაში.

7. "ორგანიზატორთან" რეგისტრაციის გავლისა და ფსონის დადების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელსაც უკვე შეუსრულდა 3. პუნქტით გათვალისწინებული ასაკი და ეთანხმება "ორგანიზატორი"–ს გათამაშების წესებს. "ორგანიზატორი" იტოვებს უფლებას შეუჩეროს ანგარიში,არ გასცეს მოგება და/ან ინფორმაცია გადაუგზავნოს სამართალდამცავ ორგანოებს თუ გამოვლინდა, რომ მოთამაშეს არ შესრულებია 3. პუნქტით გათვალისწინებული ასაკი ან წარმოადგინა არასწორი პირადი ინფორმაცია.

8. მომხმარებლის "პაროლი" არის საიდუმლო, მისი გასხვისება და გადაცემა სხვა პირზე იკრძალება. "პაროლის" უსაფრთხოებაზე უშუალო პასუხისმგებელი არის მომხმარებელი.

9. "პაროლის" დაკარგვის, მისი სხვა პირზე გადაცემის და მოპარვის შემთხვევაში, მიყენებულ ზარალზე ,,ორგანიზატორი" სრულად იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობა უშუალოდ მომხმარებელს ეკისრება.

10. "ორგანიზატორი" იტოვებს უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ უარი უთხრას მომხმარებელს ვებ-გვერდზე რეგისტრაციის გავლაზე ან/და ფსონის დადებაზე ან/და ანგარიშის დაბლოკვაზე და არ განმარტოს უარის მიზეზი.

11. მომხმარებლის მიერ, ელექტრონული სისტემებიდან (მომენტალური გადახდის აპარატი, ინტერნეტ-გადახდები და სხვა) ბალანსის შევსების/ თანხის განაღდების/გატანის მომენტში, მის მიერ თანხის სხვა პირად ნომერზე/პირზე შეცდომით გადარიცხვის შემთხვევაში, "ორგანიზატორი" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას აღნიშნული თანხის დაბრუნებასთან ან/და გადატანასთან დაკავშირებით. შეცდომით, სხვა პირად ნომერზე/პირზე გადარიცხული თანხის დაბრუნება მომხმარებლისთვის შესაძლებელია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე

12. მომხმარებლის პირადი მონაცემების (სახელი, გვარი, მისამართი, დაბადების თარიღი ელ. ფოსტა) შეცვლის შემთხვევაში "კროკობეთის" ადმინისტრაცია იტოვებს უფლებას ცვლილების შედეგად რეგისტრირებულ მომხმარებელზე არ გასცეს მოგებული თანხა, ცვლილების მომენტიდან 24 საათის განმავლობაში. მოგებული თანხის აღება "კროკობეთის" ინტერნეტსალაროდან

შესაძლებელია მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ ან/და ცვლილებამდე რეგისტრირებული მომხმარებლის მიერ გაცემული ნოტარიალურად დადასტურებული მინდობილობის საფუძველზე.

13. მომხმარებელს მოგებული თანხა ავტომატურად ჩაერიცხება ანგარიშზე, შესაბამისად წაგებული თანხა ავტომატურად ჩამოიჭრება მისი ანგარიშიდან.

14. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელი უფლებამოსილია, აღნიშნულ ნაწილში, მოგების გაცემისას, კომპანიას მოსთხოვოს საგადასახადო აგენტის ფუნქციის შესრულება.

15. თუ მომხმარებლის ბალანსზე არსებული თანხა მინიმალურ ფსონზე ნაკლებია, მის მიერ დადებული ფსონი არ იქნება დაფიქსირებული. "კროკობეთი" არ ითვალისწინებს თამაშს კრედიტით.

16. ნებისმიერი საბანკო ოპერაციის შესრულებისას მომხმარებელი ვალდებულია "კროკობეთს" წარუდგინოს პირადობის დამადასტურებელი საბუთი პირადად ან/და გამოაგზავნოს მონაცემები ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

17."კროკობეთის" ვებ-გვერდზე არსებული ბალანსის არამიზნობრივი და არაკეთილსინდისიერი გამოყენების შემთხვევაში, (ბალანსის ელექტრონული სისტემებითა და სხვა საშუალებებით შევსებისას და შესაბამისად არსებული თანხის ნაწილის "კროკობეთის" სისტემაში ფსონზე დაუდებლობის შემთხვევაში) "კროკობეთი" იტოვებს უფლებას, მომხმარებელის ანგარიშზე არსებული თანხის გატანის მომენტში, გატანილი თანხიდან, საკომისიოს სახით ჩამოაჭრას 20%-მდე თანხა.

18. კომპანია იტოვებს უფლებას, რომ შეუჩეროს ანგარიში ან ჩამოაჭრას თანხა იმ პირებს რომლებიც www.crocobet.com-ს იყენებენ არამიზნობრივად. თუ მოთამაშე მის ანგარიშზე ჩარიცხული თანხის მინიმუმ 30%-ს არ გამოიყენებს კეთილსინდისიერად (როდესაც დარღვეული არ არის შემთხვევითობის პრინციპი) სათამაშოდ (სპორტზე განთავსებული ფსონების შემთხვევაში ბილეთში უნდა იყოს პოზიცია მინიმუმ 1.5 კოეფიციენტით, ხოლო არაკეთილსინდისერი თამაშის შემთხვევაში დეპოზიტის 50%, მინიმუმ 3 პოზიცია,თითოეული 1.5 კოეფიციენტით), კომპანია იტოვებს უფლებას ასეთ მომხმარებლებს შეუზღუდოს ანგარიშით სარგებლობისა და თანხის გატანის უფლება მინიმუმ 60 დღით, რათა დადგინდეს კონკრეტული მოთამაშეების ამ ქმედების მიზეზი და ასევე კომპანია იტოვებს უფლებას ამ ტიპის თანხების შემთხვევაში მოთამაშეს ჩამოაჭრას გატანილი თანხის 20%

19. "კროკობეთი" იტოვებს უფლებას, საკუთარი შეხედულებისამებრ, ნებისმიერ დროს შეცვალოს, შეამციროს, გაზარდოს ან/და საერთოდ გააუქმოს მინიმალური ფსონის ოდენობა. ამ შემთხვევაში ერთადერთ მოქმედ ფსონად მიიჩნევა ის ფსონი, რომელიც დაფიქსირებულია "ორგანიზატორის" შესაბამის კომპიუტერულ პროგრამაში.

20. ნებისმიერი ტექნიკური თუ მექანიკური ხარვეზი განიხილება როგორც შტატგარეშე გარემოება. ასეთ შემთხვევაში "ორგანიზატორი" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას და იტოვებს უფლებას ფსონი გაუქმებულად ჩათვალოს.

21. იმ შემთხვევაში თუ მონაცემი შეცდომით იქნა შეყვანილი და ამ შეცდომის შედეგად მომხმარებელს დაერიცხა ზედმეტი თანხა, "ორგანიზატორი" იტოვებს უფლებას, მოახდინოს მოგებული თანხის ხელახალი გადაანგარიშება და ჩამოაჭრას მოთამაშეს შეცდომით დარიცხული თანხა, ან პირიქით.

22. ყველა პრეტენზია და სადაო საკითხი განიხილება თამაშის დასრულებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

23. ნებისმიერი ფსონის შესახებ ინფორმაცია ინახება "კროკობეთის" მონაცემთა ბაზაში და სადაო საკითხის განხილვის შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება "კროკობეთი"–ს ელექტრონულ არქივში დაცულ ჩანაწერს.

24. "კროკობეთი" იტოვებს უფლებას, "ლატარიების, აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებები ან/და დამატებები წესებში, რომელიც წერილობითი ფორმით შეთანხმებული იქნება შემოსავლების სამსახურთან.

25. "კროკობეთი" უარს ამბობს გასცეს გარანტიები, დაკავშირებული მომსახურებასთან, რომელიც მიეწოდება მომხმარებელს არსებული მდგომარეობით (ეს უარი არ ვრცელდება მოგებების გაცემაზე).

26. "კროკობეთი" არ იძლევა გარანტიას, რომ მომსახურება გაწეული იქნება უწყვეტად და უშეცდომოდ.

27. "კროკობეთი" იტოვებს უფლებას თავისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით შეაჩეროს, შეწყვიტოს, მოახდინოს მოდიფიცირება, გააუქმოს ან დაამატოს თავისი მომსახურებები და/ან თამაშები.

28. მომხმარებლის მხრიდან თაღლითობის გამოვლენის შემთხვევაში, რომლის შედეგადაც „ორგანიზატორს" მიადგება ფინანსური ან/და მორალური ზიანი, შეილახება მისი საქმიანი რეპუტაცია,"კროკობეთი" იტოვებს უფლებას: გააუქმოს ან/და დაბლოკოს ვებ-გვერდზე შემოსვლა; აკრძალოს ფსონის დადება ან/და გააუქმოს უკვე დადებული ფსონი; საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს შესაბამის ორგანოებს "თაღლითობის ფაქტის" შესასწავლად, მასზე შემდგომი რეაგირების მიზნით; სასამართლოს გზით მოთხოვოს მოთამაშეს მიყენებული ზარალისა და სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

29. კროკობეთი იტოვებს უფლებას საიტზე დაბლოკილი მომხმარებელი არ დაუშვას კროკობეთის მიერ ორგანიზებულ ტურნირზე ან ნებისმიერ ღონისძიებაზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ მომხმარებელს მის დაბლოკვამდე ან დაბლოკვის შემდეგ მოგებული ან ნაყიდი აქვს კროკობეთის მიერ ორგანიზებული ნებისმიერი ტურნირის ან ღონისძიების ბილეთი

30. მომსახურების მიღების მთელი პერიოდის განმავლობაში "მომხმარებელი" იძლევა გარანტიას და აცხადებს თანხმობას შემდეგზე: თამაშის შედეგად არსებობს მოთამაშის მიერ ფულადი სახსრების წაგების რისკი და კომპანია პასუხისმგებელი არ არის ასეთი სახის ზიანზე; მომხარებელი თავისი ნებით თანხმდება მომსახურების მიღებაზე, ამასთან თამაშის ტიპს ირჩევს თავად მომხმარებელი; მომხმარებელი იღებს ერთპიროვნულ ვალდებულებას თვითონ გადაიხადოს ყოველგვარი გადასახადები და მოსაკრებლები, რომლებიც შეიძლება დაერიცხოს მისთვის გაცემულ მოგებულ თანხებს; მომსახურების მისაღებად მომხმარებელი პასუხისმგებელია საკუთარ სატელეკომუნიკაციო საშუალებებისა და ინტერნეტის გამართულ მუშაობაზე.

31. მომხმარებელი, რომლის მოგებაც ერთჯერადად შეადგენს 5 000 ლარს ან მეტს, "ორგანიზატორის" მოთხოვნის შემთხვევაში , ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს "ორგანიზატორის"– რეკლამაში.

32. რეგისტრაციის შედეგად მინიჭებული პინ-კოდი არის საიდუმლო და იკრძალება მისი გასხვისება ან მოთამაშის მიერ მისი გადაცემა მესამე პირისთვის. ამ შემთხვევაში მიყენებულ ზარალზე კომპანიის ადმინისტრაცია სრულიად იხნის ყველანაირ პასუხისმგებლობას და პასუხისმგებლობა ეკისრება მოთამაშეს.

33. „კროკობეთი“-ს ბალანსის შევსება შესაძლებელია საბანკო ბარათის მონაცემების დამახსოვრება ან არ დამახსოვრება. აღნიშნულ ფუნქციას მომხმარებე ირჩევს თვითონ.

34. “კროკობეთი“-ს პირადი გვერდის დასაბლოკათ აუცილებელია მომხმარებელი მოვიდეს „კროკობეთ“ -ს ფილიალში (მის: ქ. თბილისი, გლდანი, I და II მ/რ-ებს შორის, ნაკვეთ N 016/044-ზე არსებული შენობა-ნაგებობის პირველი სართული, ფართი N 1 (ხიზანიშვილის #2); ქ. ბათუმი, ქუთაისის 28; ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. #5,სავაჭრო ცენტრის პირველი სართული, ბლოკი “C”, სამორინეში გაერთიანებული ფართი #1-ის დარბაზი #1 ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. №5, ნაკვეთი №381, №036004-ში არსებული შენობა- ნაგებობის I სართულზე, ფართი №2) და დაწეროს განცხადება. მომხმარებლის პროფილი დაიბლოკება განცხადების მიღებიდან 10 სამუსაო დღეში.

35. მომხმარებელს აქვს საშუალება მოგებული თანხა გაიტანოს ჩვენ მომსახურე სალაროებში, თანხის გატანის საკომისიო შეადგენს გასატანი თანხის 1%.

ვებ-გვერდზე https://crocobet.com/ ხორციელდება პერსონალური მონაცემების დამუშავება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. ამდაგვარი მონაცემებია: (ა) ინახება დაცულად, უსაფრთხოდ და შიფრაციის უმაღლესი სტანდარტების დაცვით; (ბ) შემდგომში გამოიყენება მომსახურების სრულფასოვნად მისაწოდებლად და ამ პირობებით განსაზღვრული სხვა მიზნებისთვის.

1. შპს "ფულ ჰაუსი"-ს (შემდგომში "ორგანიზატორი") მიერ სისტემურ - ელექტრონული ფორმით მოწყობილი სამორინესა ან ტოტალიზატორის მომხმარებელი ვებ-გვერდზე https://crocobet.com/_(შემდგომში „ვებ-გვერდი“) რეგისტრაციით ან ვებ-გვერდის მოხმარების ფაქტად ადასტურებს, რომ ინფორმირებულია შემდეგზე:

1.1. მომხმარებლის პერსონალური მონაცემები მუშავდება საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით ორგანიზატორის მიერ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის ქ. #33, აგრეთვე ორგანიზატორის მიერ ადმინისტრირებულ ელექტრონულ სისტემაში, ხოლო ორგანიზატორთან დადებული შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ასევე უფლებამოსილი პირის მიერ, მომხმარებლის ორგანიზატორისთვის მიცემული თანხმობას და ამ შეთანხმებით განსაზღვრული მიზნების ფარგლებში;

1.2. ორგანიზატორის ან ორგანიზატორის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ მომხმარებლის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება მოხდება შემდეგი მიზნებით:
- მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის გავლისას მისთვის ანგარიშის შესაქმნელად და შესაბამისი რეკვიზიტების მისანიჭებლად;
- საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლის იდენტიფიცირებისათვის;
- მომხმარებლის მიერ თავის ანგარიშზე თანხის შესატანად და შეტანისას ორგანიზატორის მიერ მის მისაღებად;
- მომხმარებლის მიერ გაკეთებული ფსონის მისაღებად, მომხმარებლისათვის სასურველი მომსახურების გასაწევად;
- ბაზრის კვლევისათვის, მომხმარებელთა გამოკითხვისა და შედეგების ანალიზისათვის;
- მომხმარებლისათვის ინფორმაციის მისაწოდებლად არსებული ან მომავალი მომსახურების ან შეთავაზებების შესახებ;
- მომხმარებლისათვის საინტერესო მომსახურების შესარჩევად და შესათავაზებლად;
- მომხმარებლისათვის შეტყობინების გასაგზავნათ;
- მომსახურების გასაუმჯობესებლად;
- ვებ-გვერდის (www.crocobet.com) ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად და მომხმარებელზე მის მოსარგებლად;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში ფინანსური მონიტორინგის განსახორციელებლად;
- „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთი ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესასრულებლად;
- მომხმარებლის მხრიდან ორგანიზატორის მოხმარების წესებისა და პირობების დარღვევის გამოსავლენად და ორგანიზატორის მხრიდან შესაბამისი რეაგირებისათვის;
- პირდაპირი მარკეტინგის განსახორციელებლად, ორგანიზატორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ სარეკლამო შეტყობინების ან სხვაგვარი შეთავაზების გასაგზავნათ;

1.3. მომხმარებელი ვალდებულია ორგანიზატორს გადასცეს რეგისტრაციისას ან შემდგომში ორგანიზატორის მიერ მოთხოვნილი პერსონალური მონაცმებეი, რომელთა გადაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ორგანიზატორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს მომხმარებლის რეგისტრაციაზე, ხოლო უკვე რეგისტრირებული მომხმარებლის შემთხვევაში- შეაჩეროს მომხმარებლის ანგარიშის მოქმედება მოთხოვნილი პერსონალური მინაცემების წარმოდგენამდე;

1.4. მომხმარებელი უფლებამოსილია ორგანიზატორს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს ინფორმაცია მის მიერ მომხმარებლის პერსონალურ მონაცმეთა დამუშავების თაობაზე, ასევე მომხმარებლის შესახებ ორგანიზატორთან არსებული პერსონალური მონაცემების გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მონაცემები არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული მონაცემების დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ;

2. ორგანიზატორის მიერ სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი სამორინეს ან ტოტალიზატორის მომხმარებელი ვებ-გვერდზე რეგისტრაციით ან ვებ-გვერდის მოხმარების ფაქტით ორგანიზატორს აძლევს თანხმობას შემდეგზე:

2.1. ორგანიზატორმა ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის დაამუშაოს მომხმარებლის ის პერსონალური მონაცემები, რომლებსაც მომხმარებელი გადასცემს მას ნებაყოფლობით, რეგისტრაციისას ან შემდგომში, მომხმარებელსა და ორგანიზატორს შორის არსებული ან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე;

2.2. ორგანიზატორმა დაამუშაოს მომხმარებლის პერსონალური მონაცმები ზემოთ ჩამოთვლილი მიზნებისათვის უვადოდ, ასევე შეუზღუდავად გადასცეს მესამე პირებს ზემოთ ჩამოთვლილი მიზნების

განსახორციელებლად ორგანიზატორსა და მესამე პირს შორის დადებული წერილობითი ხელშეკრულების საფუძელზე, ასევე საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ფინანსური მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში;

2.3. ვებ-გვერდის (www.crocobet.com) გამოყენებისას ორგანიზატორი დაამუშავებს შემდეგ მონაცემებს:

- სახელი, გვარი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, მოქალაქეობა, ტელეფონის ნომრებს, რეგისტრირებული მისამართი, ფაქტობრივი მისამართი;
- პირადობის დამადასტურებელი საბუთის მონაცემები;
- მომხმარებლის მიერ ორგანიზატორის ვებ-გვერძე (www.crocobet.com) ატვირთული ან ორგანიზატორისათვის მიწოდებული ფაილები;
- მომხმარებლის სისტემური ჟურნალის მონაცემები, IP მისამართი, ინფორმაცია ბრაუზერის შესახებ, ინფორმაცია ინტერნეტის მიმწოდებლის შესახებ, ინფორმაცია ოპერაციული სისტემის და კომპიუტერული მოწყობილობის შესახებ, კლიკების რაოდენობა და ვებ -გვერდთან (www.crocobet.com) მიმართებაში მომხმარებლის ურთიერთქმედება, ვებ-გვერდზე (www.crocobet.com) მომხმარებლის ნავიგაციის ისტორია, ვებ- გვერდზე (www.crocobet.com) შესვლის დრო და მომხმარებლის ადგილმდებარეობა, COOKIE ჩანაწერები და WEB BEACON ფაილები (მომხმარებლის ბრაუზერზე დაცული მონაცემები, რომლებიც ძირითად შემთხვევაში გამოიყენება ერთობლიობაში და რომლებიც ორგანიზატორს მიაწვდის ინფორმაციას სხვადასხვა ვებ-გვერდძე მომხმარებლის ნავიგაციის შესახებ);
- ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელსაც მომხმარებელი ნებაყოფლობით დატოვებს ვებ-გვერდზე (www.crocobet.com) ან სხვა გზით მიაწვდის ორგანიზატორს. ამასთან, ზოგიერთი სახეობის ინფორმაცია მუშავდება ავტომატურად ან ნახევრად ავტომატურად რეჟიმში, მათ შორის Google Analytics ან სხვა მესამე პირების მიერ შემუშავებული პროგრამების მეშვეობით.